

საქართველოს მთავრობის
განკარგულება
N 640 2008 წლის 1 ოქტომბერი ქ. თბილისი

რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოზე
შეიარაღებული თავდასხმის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების
შეკეთებისა და
მშენებლობისათვის განსახორციელებელ გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ

1. რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების შეკეთებისა და მშენებლობისათვის გადაუდებელ ღონისძიებათა განხორციელების მიზნით საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა უზრუნველყოს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სატყეო დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური სატყეო სამმართველოს მართვას დაქვემდებარებული სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდიდან 22 300 მ³ და შიდა ქართლის რეგიონალური სატყეო სამმართველოს მართვას დაქვემდებარებული სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდიდან 16 550 მ³ (სულ – 38 850 მ³) წიწვოვანი სახეობის სამასალე მერქნის მისაღებად საჭირო ტყეკაფის გამოყოფის, მოჭრისა და დამზადების სამუშაოების შესრულება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. (16.10.2008 N674)

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ღონისძიებათა შეზღუდულ ვადებში განხორციელებისათვის ნება დაერთოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს, ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით უზრუნველყოს შესაბამისი ორგანიზაციების შერჩევა «სახელმწიფო შესყიდვების შესახებ» საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის «ე» ქვეპუნქტის შესაბამისად.

3. ამ განკარგულების შესაბამისად დამზადებული 38 850 მ³ წიწვოვანი სახეობის სამასალე მერქანი გადაეცეს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოზე თავდასხმის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების შეკეთებისა და მშენებლობის ღონისძიებათა უზრუნველყოფის მიზნით. (16.10.2008 N674)

4. ამ განკარგულების შესაბამისად დამზადებული 38 850 მ³ წიწვოვანი სახეობის სამასალე მერქნის დამზადების შედეგად მიღებული საშუა მერქანი გადაეცეს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას – სატყეო დეპარტამენტს რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოზე თავდასხმის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის სოციალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. (16.10.2008 N674)

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

პრემიერ-მინისტრი

ვლადიმერ გურგენიძე